საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 19/30-09 „19" XII 2017 წ

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის გრძანება N19/2017

სსიპ - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის 2017 წლის 5 დეკემბრის სხდომის # 4 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას;

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლიძაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
დეპარტამენტის ასოც. პროფესორის,
მანანა შამილიშვილის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 5 დეკემბერს გაიმართა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა დეპარტამენტის 13 პროფესორი. სხვა საკითხებთან ერთად, სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი იყო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევის საკითხი. გთავაზობთ ამონაწერს სხდომის ოქმიდან და გთხოვთ დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილების დამტკიცებას.

სხდომის თავმჯდომარე: მ. შამილიშვილი /მ. შამილიშვილი/

15.12.2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული № 23362/30 3გვ.
„18" XII 2017წ.
ხელმოწერა მ. ხმალაძე

ამონაწერი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის

2017 წლის 5 დეკემბრის სხდომის

ოქმი #4 -დან

სხდომას ესწრებოდა დეპარტამენტის 14 წევრიდან 13.

ასოცირებული პროფესორები:

ნ. ჭალაგანიძე, მ. შამილიშვილი (სხდომის თავმჯდომარე), მ. წერეთელი, თ. ჯოლოგუა, ნ. ტალახაძე (სხდომის მდივანი), ნ. კუპრაშვილი, მ. ტორაძე, რ. ჭიჭინაძე, ხ. მაისაშვილი.

ასისტენტ-პროფესორები:

თ. ბელქანია, ხ. კაჭარავა, მ. მემანიშვილი, მ. ლომიძე.

დღის წესრიგი:

1. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორის, მ. შამილიშვილის წინადადება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევის შესახებ. მისი ინფორმაციით, საკითხი დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც მოქმედ ხელმძღვანელს, ნინო ჭალაგანიძეს ამ პოსტზე ყოფნის ორწლიანი ვადა გაუვიდა. მ. შამილიშვილმა სთხოვა სხდომის მონაწილეებს, დაესახელებინათ დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის კანდიდატურები.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორებმა - ნათია კუპრაშვილმა, ხ. კაჭარავამ, მ. ტორაძემ, თ. ჯოლოგუამ, მ. წერეთელმა დადებითად შეაფასეს დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნ. ჭალაგანიძის საქმიანობა. ნ. ჭალაგანიძემ მადლობა გადაიხადა მისი საქმიანობის დადებითად შეფასებისთვის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე ასოც. პროფესორის, მარი წერეთლის კანდიდატურა წამოაყენა. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე და კვლავ ნ. ჭალაგანიძის კანდიდატურა წამოაყენა ახალი ვადით, რასაც დამწრეთა უმრავლესობა დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ, მ. შამილიშვილმა, შესთავაზა სხდომის მონაწილეებს, კენჭისყრაზე დაეყენებინათ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ნინო ჭალაგანიძის ხელახალი არჩევის საკითხი და ითხოვა, კენჭისყრით გადაეწყვიტათ არჩევის წესის საკითხი. სხდომის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს არჩევის ფორმად ღია კენჭისყრის გადაწყვეტილება, რის შემდეგაც კენჭი უყარეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ნ. ჭალაგანიძის არჩევას. სხდომის მონაწილეების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, აღნიშნულ თანამდებობაზე არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე.

დაადგინეს:

1. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე.

2. ეთხოვოს ფაკულტეტის დეკანს, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორის, ნინო ჭალაგანიძის დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარე: მ. შამილიშვილი

სხდომის მდივანი: ნ. ბერიძე

15.12.2017